ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4260987

ნომერი: AR1643009

თარიღი : 08.11.2018

გაცემის თარიღი : 13.11.2018

გაცნობის თარიღი : 14.11.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეფე მირიანის ქუჩა N80ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მოჰამედ ჰასან გივე ჩიან პ/ნ 01397002737
- თბილისი ნ.ყიფშიძის ქ. N 3ბ

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 3458170
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 8.09.2017

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

- გადაწყვეტილება № 3956540 – ით დადგენილი ხარვეზები არ არის აღმოფხვრილი, არც შესაბამისი ნახაზებია წარმოდგენილი და ასევე დასრულებილი სამუშაოები არ იქნა ამოღებული უარის თქმის დოკუმენტიდან.
- შესაბამისად მოხდეს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით დახარვეზებული ყველა პუნქტის აღმოფხვრა.
- დასრულდეს ყველა დასასრულებელი სამუშაო და წარმოდგენილ იქნას ყველა აზომვითი ნახაზი დამოწმებული მუნიციპალური ინსპექციის მიერ. გაითვალისწინეთ, საჭიროა ყველა დარღვეული ნორმის და სტანდარტის შესაბამისობაში მოყვანა და მხოლოდ ამის შემდგომ მომართვა დადასტურებაზე.
- იმ შემთხვევაში, თუ განხორციელებული მშენებლობით შეიცვალა ინდივიდუალური ფართების საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებული ფართობები, საჭიროა მიეთითოს ამ ფართების წილობრივი საკადასტრო კოდები და წარმოდგენილი იქნას მათი მესაკუთრეების (არსებობის შემთხვევაში მომავალი მესაკუთრეებისა და იპოთეკარების) მიერ გაცემული, სათანადო წესით დამოწმებული თანხმობები.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.